იუსტიციის
სამინისტრო

სსიპ იუსტიციის სახლის

ანგარიში

2024 წელი

სარჩევი

I. დებულებით გათვალისწინებული საქმიანობა 4
1. სტატისტიკა 15

II. ადამიანური რესურსების მართვა 17
1. საკადრო რესურსის გაძლიერება 17
2. თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება 19
3. თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული გადამზადება 19
4. სამოტივაციო ღონისძიებები 20

III. საფინანსო საკითხები 22
1. გაფორმებული ხელშეკრულებები 22
2. გამოცხადებულია და მიმდინარეობს შემდეგი ელექტრონული ტენდერები 25
3. 2024 წლის შესყიდვები 27
4. ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები 28

IV. საზოგადოებასთან ურთიერთობა 29
1. დელეგაცია იუსტიციის სახლში 29
2. პიარკამპანიები 31
3. სატელევიზიო გაშუქება 34
4. მიმდინარე და განხორციელებული პროექტები 35

V. ინფრასტრუქტურული პროექტები 37

I. დებულებით გათვალისწინებული საქმიანობა

გაიხსნა სამტრედიის, ხაშურის, შროშის, თერჯოლისა და ბათუმის N2 იუსტიციის სახლები;

დასრულდა რუსთავის იუსტიციის სახლის სარემონტო სამუშაოები;

იწყება იუსტიციის სახლების სამშენებლო სამუშაოები მცხეთასა და საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალაში. ასევე, დაგეგმილია იუსტიციის სახლის მშენებლობა ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ორპირში;

2024 წელს, ბიზნესსექტორის მომსახურების სრულიად განსხვავებული კონცეფ-ციის -„ბიზნესასისტენტის“ პრეზენტაცია შედგა. „ბიზნესასისტენტის“ მიზნობრივ სეგმენტს ბიზნესსექტორის ის ნაწილი წარმოადგენს, რომელსაც სახელმწიფო სერვისების მუდმივი მიწოდება და გაზრდილი შესაძლებლობები ესაჭიროება;

თბილისის იუსტიციის სახლში ქართული სამართლის ჰოლოგრამული მუზეუმი გაიხსნა. სამართლის ჰოლოგრამული მუზეუმი დამთვალიერებელს ქართული სამართლის განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიას აცნობს, ამასთანავე ექსპოზიცია ჰოლოგრამული, ციფრული ფორმატის გამოსახულებებით არის წარმოდგენილი;

დასრულდა პროექტი „გაეროს განვითარების პროგრამასა" და სსიპ „იუსტიციის სახლს" შორის „საქართველოში სოფლის განვითარების ხელშეწყობის" (ENPARD IV) პროექტისთვის მხარდამჭერი სერვისებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შესახებ. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- *ჟესტურ ენაში გადამზადდა სსიპ "იუსტიციის სახლის" წინა ხაზის 76 თანამშრომელი.*
- *წინა ხაზის 160 ოპერატორი გადამზადდა ტრენინგში ეფექტიანი კომუნიკაცია შშმ პირთა მომსახურების ელემენტებით.*
- *მომზადდა 10 საინფორმაციო ვიდეო რგოლი, სსიპ "იუსტიციის სახლის" სერვისებთან დაკავშირებით, ხშირად დასმულ შეკითხვებზე. ვიდეორგოლებს აქვს სუბტიტრები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ასევე, უზრუნველყოფილია ყრუ და სმენადაქვეითებულთათვის თარგმანით.*
- *რეგიონებში არსებულ 10 "იუსტიციის სახლში" დამონტაჟდა ვიდეოკამერები, შესაბამისი ლიცენზიებით, რომლებიც აუცილებელია შშმ პირთა მონაწილოებით გარიგების პროცესის ვიდეოგადაღების უზრუნველსაყოფად.*

- *დასრულდა BI სისტემის ინტეგრირების პროცესი, რომელიც სტატისტიკური მონაცემების სწრაფად და სისტემურად დამუშავებას უზრუნველყოფს.*



იუსტიციის სახლების სივრცეები გაიხსნა - ქუთაისის N2, ლაითურის N1 და ქსნის N10 პენიტენციურ დაწესებულებაში.

მობილური იუსტიციის სახლი მოემსახურა 150-მდე სოფელსა და მათ მიმდებარე დასახლებებში მცხოვრებ 75 000-მდე მომხმარებელს.

ჩატარდა საკვალიფიკაციო გამოცდა, რომლის შედეგად საუკეთესო მაჩვენებლების მქონე თანამშრომელთა პროცენტული მაჩვენებელი გამოიყურება შემდეგნაირად:

- 90-დან - 100 ქულამდე შედეგი დაფიქსირდა თანამშრომელთა - 32.4 %-თან;
- 100 ქულა - მაქსიმალური შედეგი დაფიქსირდა თანამშრომელთა - 9.4 %-თან.



წინა ხაზისა და ქორწინების სახლის თანამშრომლებისთვის შეიქმნა ახალი უნიფორმები.

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/791164352843007/?r-did=GarP1vrwT3ewxIDW

დამტკიცდა სსიპ იუსტიციის სახლის 2024-2028 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

იუსტიციის სახლში დაინერგა ორგანიზაციული თვითშეფასების ევროპული მოდელი „შეფასების ერთიანი სისტემა“ (CAF), რომელიც დღეის მდგომარეობით წარმატებით მუშაობს 4 500-ზე მეტ საჯარო დაწესებულებაში, როგორც ევროკავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

სსიპ „იუსტიციის სახლის“ იმიჯის შესწავლის, მომხმარებელთა დამოკიდებულებების განსაზღვრის, კმაყოფილებისა და უკმაყოფილების მიზეზების იდენტიფიცირების მიზნით ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა, რომლის ფარგლებშიც დადებითმა შეფასებამ 91% შეადგინა.

დადებითი

91%

2024 წლის 05 ნოემბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში იუსტიციის სახლში ჩატარდა მენეჯმენტის სტილის კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1275-მა თანამშრომელმა და გამოპასუხების მაჩვენებელმა შეადგინა აქტიური თანამშრომლების 73%.

აქტიური თანამშრომლების

73%

იუსტიციის სახლში მოქმედებს მომხმარებელთან კომუნიკაციის არაერთი არხი. თითოეულ მიღებულ უკუკავშირზე, მომხმარებელს, მყისიერად უბრუნდება პასუხი. ყოველდღიურად, საშუალოდ, 600-მდე მომხარებელს ეგზავნება შეფასების ბმული, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.

მომხმარებელთა მომსახურების სტანდარტის შესრულების ხარისხის მონიტორინგისა და სამუშაო პროცესების გაუმჯობესების მიზნით, 2024 წლის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობდა იდუმალი მომხმარებლის კვლევა. კვლევის შედეგად, ორგანიზაცია დადებითად, 94.63%-ით შეფასდა.

მობილური იუსტიციის სახლები ჩაერთო არა ელექტრონული პირადობის მოწმობის ჩანაცვლების აქციაში. აქციის ფარგლებში, ადგილზე მომსახურება გაეწია შეზღუდული გადაადგილების მქონე 9000-მდე მომხმარებელს.

შემუშავდა იუსტიციის სახლის პარტნიორი ორგანიზაციების საქმისწარმოების მასალების გადაბარების ინსტრუქცია, რომლის ფარგლებშიც ფილიალებიდან განხორციელდა დოკუმენტაციის გადმობარება.

განახლდა პენიტენციურ დაწესებულებაში მომსახურების მიწოდების პროცედურული სახელმძღვანელო.

ტერიტორიულ ორგანოებში დასაქმებული გაციფრულების სამსახურის თანამშრომელების უნივერსალიზაციის პირველი ეტაპი დასრულდა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად, შემუშავდა და დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის სახლის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი“.

დასრულდა "იუსტიციის სახლში" არსებული საარქივო დოკუმენტაციის შესაბამისი წესით აღწერა, შენახვა და დაარქივების პროცესი. ასევე, მიმდინარეობს ნომენკლატურით გათვალისწინებული წესით დოკუმენტების განადგურებისთვის პროცესი.

სსიპ „იუსტიციის სახლის" ადმინისტრაციულ დეპარტამენტს დაემატა სტრუქტურული ერთეული - ანალიტიკური სამსახური.

ჩატარდა მოსახლეობის საჭიროებების კვლევა იუსტიციის სახლში ახალი სერვისების იდენტიფიცირების მიზნით.

დამტკიცდა იუსტიციის სახლის სტრუქტურული ქვედანაყოფების (დეპარტამენტებისა და სატელეფონო ცენტრის) დებულებები.

სსიპ იუსტიციის სახლში შემუშავდა და განახლდა შემდეგი ადმინისტრაციული აქტები:

- სსიპ - იუსტიციის სახლის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი;
- სსიპ - იუსტიციის სახლის თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების წესი;
- სსიპ - იუსტიციის სახლის ინსტრუქტორების შერჩევისა და შეფასების წესი;
- სსიპ - იუსტიციის სახლის მომხმარებლის უკუკავშირის დამუშავებისა და მასზე რეაგირების წესი;
- სსიპ - იუსტიციის სახლის საკუთარი სერვისის - ბიზნეს ასისტენტის მომსახურების მიწოდების წესი;
- სსიპ - იუსტიციის სახლის შრომის შინაგანაწესი;
- სსიპ - იუსტიციის სახლის მომხმარებელთა მომსახურების სტანდარტი;
- სსიპ „იუსტიციის სახლის" თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობების წარმოების წესი;
- „სატელეფონო ცენტრის მიერ პერსონალური მონაცემების გაცემის წესი".

სრულად განახლდა იუსტიციის სახლის როგორც შიდა, ისე გარე საინფორმაციო ვებ-გვერდზე განთავსებული სამართლებრივი ინსტრუქციები და მითითებები;

დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის სახლის შიდა აუდიტის 2024 – 2026 წლების სტრატეგიული გეგმა", რომელიც წარმოადგენს დეპარტამენტის განვითარების 3 წლიან სტრატეგიულ მიმართულებასა და გეგმას.

ქორწინების სახლების, ქორწინების სარიტუალო სივრცის თანამშრომლებისთვის და იუსტიციის სახლის მენეჯერებისათვის შეიქმნა გზამკვლევი, რომელიც დაეხმარება თანამშრომელს ქორწინების სერვისების მიწოდების გაუმჯობესებაში.

ქორწინების სახლების თანამშრომლებისათვის შეიქმნა ქორწინების სახლის შიდა ორგანიზაციული პროცესების მართვის დოკუმენტი.

ვანის, საჩხერის, ლანჩხუთის, წნორის და ამბროლაურის ფილიალებში დაინერგა რიგის მართვის ელექტრონული სისტემა QMATIC ORCHESTRA 7.

1. სტატისტიკა

1.1. მოქალაქეთა ნაკადი იუსტიციის სახლის ფილიალებში

სსიპ იუსტიციის სახლი, ფილიალების მეშვეობით, უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ჯამში, მოემსახურა 5 555 385 მომხმარებელს. ფილიალებში, სადაც არ ფუნქციონირებს რიგის მართვის ელექტრონული სისტემა, მოქალაქეთა ნაკადების დადგენის მიზნით, დათვლილია მხოლოდ რეგისტრირებული განცხადებების რაოდენობა.

1.2. მომხმარებლის უკუკავშირი

2024 წლის განმავლობაში, სხვადასხვა არხიდან (მომხმარებლის ხმა, სატელეფონო ცენტრი, F.B. გვერდი, ელექტრონული ფოსტა) შემოვიდა 14 750 მომხმარებლის უკუკავშირი. შეტყობინებების 95.6% იყო დადებითი, 4.0% უარყოფითი, ხოლო 0.4% სარეკომენდაციო ხასიათის. თითოეულ შეტყობინებაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება. კერძოდ, დადებითი ხასიათის შეტყობინებები, მადლობის სახით გაიგზავნა ადრესატებთან. ნეგატიური შინაარსის შეტყობინებების შემთხვევაში, თითოეულ მომხმარებელთან (საკონტაქტო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში) დამყარდა სატელეფონო კომუნიკაცია.

დადებითი	უარყოფითი	რეკომენდაცია
95.6%	**4.0%**	**0.4%**

1.3. სატელეფონო ცენტრის სტატისტიკური მონაცემები

2024 წლის მაჩვენებელი:

1 417 800 შემოსული ზარი;

1 313 833 ნაპასუხები ზარი;

68% ნაპასუხები ზარების რაოდენობა 20 წამამდე (SLA);

108 714 ონლაინ ჩეთის რაოდენობა;

7% ჩავარდნილი ზარების %-ლი მაჩვენებელი;

103 967 ჩავარდნილი ზარი.

II. ადამიანური რესურსების მართვა

1. საკადრო რესურსის გაძლიერება

კონკურსის წესითა და შრომითი ხელშეკრულებით დაინიშნა ჯამში **427** თანამშრომელი და შეირჩა **90** სტაჟიორი;

427
თანამშრომელი დაინიშნა;

90
სტაჟიორი შეირჩა;

კარიერული განვითარებისა და ჰორიზონტალური გადაყვანის წესის შესაბამისად, იმავე რანგისა და კატეგორიის ან უფრო მაღალ პოზიციაზე დაინიშნა **59** თანამშრომელი;

2024 წლის განმავლობაში გამოცხადდა **355** ღია/გამარტივებული კონკურსი **738** პოზიციაზე;

გამოცხადდა **66** სტაჟირების კონკურსი **211** პოზიციაზე, საიდანაც **130** პოზიცია განკუთვნილი იყო სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებული სტაჟირებისთვის;

კარიერული განვითარებისა და ჰორიზონტალური გადაყვანის წესის შესაბამისად, გამოცხადდა **56** კონკურსი, ჯამში **61** პოზიციაზე.

2. თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება

დამტკიცდა სსიპ „იუსტიციის სახლში“ თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების განახლებული წესი, რომელიც ითვალისწინებდა შეფასების პროცესში მასშტაბურ ცვლილებებს.

სრულად შეიცვალა წინა ხაზის თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები.

განხორციელდა თანამშრომელთა შესრულებული სამუშაოს შუალედური და საბოლოო შეფასების პროცესი, რომლის ფარგლებში შუალედური განმავითარებელი უკუკავშირი მიიღო იუსტიციის სახლის - 1673-მა თანამშრომელმა, ხოლო საბოლოო შეფასება განესაზღვრა - 1781 თანამშრომელს.

3. თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული გადამზადება

2024 წლის იანვარსა და ივლისის თვეში ჩატარდა თანამშრომელთა ინდივიდუალური განვითარების საჭიროებათა კვლევა. განხორციელდა მიღებული შედეგების ანალიზი და ტრენინგ საჭიროებების პრიორიტეტიზაცია, შემუშავდა თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების გეგმა;

შეიქმნა სოციალური მიმართულებით ჩასატარებელი ტრენინგების გეგმა;

პროფესიული მიმართულებით ჩატარდა ტრენინგები 1456 თანამშრომლისთვის;

საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი ტრენინგები დაიგეგმა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სერვისების მიმართულებით - 1168, ხოლო საჯარო რეესტრის სერვისების მიმართულებით - 1182 თანამშრომლისთვის.

4. სამოტივაციო ღონისძიებები

2024 წლის განმავლობაში იუსტიციის სახლის თანამშრომლებისათვის დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- *ინტელექტუალური თამაში - რა? სად? როდის? იუსტიციის სახლის თანამშრომლებისთვის (გაზაფხულის სერია) რომელშიც მონაწილეობა მიიღო 11-მა გუნდმა, ჯამში 66-მა თანამშრომელმა;*

- *იუსტიციის სახლის შიდა ჩემპიონატი ფეხბურთში რომელშიც მონაწილეობა მიიღო 5 მა გუნდმა, ჯამში 43-მა თანამშრომელმა;*

- *იუსტიციის სახლის შიდა ჩემპიონატი კარტინგში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო იუსტიციის სახლის 50 -მდე თანამშრომელმა;*

- *იუსტიციის სახლის თანამშრომლებისთვის ჯომარდობა ფასანაურში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 80-მა თანამშრომელმა;*

- *ქალაქ ბათუმში, იუსტიციის სახლის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ქვიშის ფრენბურთის შიდა ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო იუსტიციის სახლის 40-მა თანამშრომელმა;*

- *ქალაქ ქუთაისში, იუსტიცის სახლის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ინტელექ-ტუალური თამაში - რა? სად? როდის? (შემოდგომის სერია) რომელშიც მონაწილეობა მიიღო იუსტიციის სახლის 55-მა თანამშრომელმა;*

- *იუსტიციის სახლის თანამშრომლებისთვის ჩატარდა შიდა ჩემპიონატი ბოულინგისა და ბილიარდში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 60-მდე თანამშრომელმა.*

2024 წლის განმავლობაში, იუსტიციის სახლის თანამშრომ-ლებისთვის განხორციელდა **60** ექსკურსია - ჯამში **1 000-მდე** თანამშრომლისთვის.

III. საფინანსო საკითხები

1. გაფორმებული ხელშეკრულებები

გენერატორების სახელმწიფო შესყიდვა (თანმდევი მონტაჟისა და გეგმიური ფლობის მომსახურებით), ღირებულებით - **250 321.00** ლარი;

გურჯაანის იუსტიციის სახლისთვის უწყვეტი კვების წყაროს UPS შესყიდვა თანმდევი მონტაჟით (აკუმულატორების გარეშე), ღირებულებით - **16 437.00** ლარი;

თბილისის ცენტრალური იუსტიციის სახლის ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით - **159 3394.99** ლარი;

თბილისის ცენტრალურ იუსტიციის სახლში ბიზნეს ასისტენტის სივრცის სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით - **259 312.46** ლარი;

იდუმალი მომხმარებელი, თანამშრომელთა მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის მონიტორინგი, ღირებულებით - **128 615.60** ლარი;

ფოთის იუსტიციის სახლის საჭიროებისათვის UPS-ის აკუმულატორების შესყიდვა თანმდევი მონტაჟის მომსახურებით, ღირებულებით - **7 101.00** ლარი;

ბათუმის იუსტიციის სახლის შენობის სახურავის შეკეთების სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით - **85 998.40** ლარი;

სენაკის იუსტიციის სახლში გარე პერიმეტრზე დეკორატიული სანთებისა და გორის იუსტიცის სახლში ფასადის მინათების სანათების მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - **65 484.46** ლარი;

- **რუსთავის იუსტიციის სახლის ალტერნატიული ელექტროენერგიის წყაროს მოწყობა,** ღირებულებით - **66 417.00** ლარი;
- **IP ტელეფონების სახელმწიფო შესყიდვა,** ღირებულებით - **26 595.00** ლარი;
- **დაზიანებული მარკეტინგული ატრიბუტიკის განახლების (მონტაჟით) სახელმწიფო შესყიდვა,** ღირებულებით - **53 175.00** ლარი;
- **მაგნიტური ან ოპტიკური წამკითხველების, თითის ანაბეჭდების წამკითხველებისა და მონაცემთა შესაყვანი მოწყობილობების სახელმწიფო შესყიდვა,** ღირებულებით - **67 980.00** ლარი;
- **რუსთავის იუსტიციის სახლის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა,** ღირებულებით - **841 320.13** ლარი;
- **საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭალაში იუსტიციის სახლის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა,** ღირებულებით - **1 513 798.00** ლარი;
- **მონაცემთა შესაყვანი მოწყობილობების სახელმწიფო შესყიდვა,** ღირებულებით - **466 150.00** ლარი;
- **თერჯოლის იუსტიციის სახლისათვის საოფისე ავეჯის შესყიდვა,** ღირებულებით - **342 000.00** ლარი;
- **მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის მომსახურების შესყიდვა,** ღირებულებით - **150 000.00** ლარი;
- **ქუთაისის იუსტიციის სახლის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა,** ღირებულებით - **385 291.52** ლარი;

- **თბილისის ცენტრალური იუსტიციის სახლის სამოქალაქო საპირფარეშოს სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა,** ღირებულებით - **44 155.00** ლარი;

- **პროცესორების (სრული კომპლექტი) სახელმწიფო შესყიდვა,** ღირებულებით - **377 122.00** ლარი;

- **ღობეების შეკეთება-აღდგენისა და სამღებრო სამუშაოების შესყიდვა,** ღირებულებით - **432 887.00** ლარი;

- **იუსტიციის სახლების სახურავების სარემონტო სამუშაოების შესყიდვა,** ღირებულებით - **647 856.22** ლარი;

- **სსიპ „იუსტიციის სახლის“ მიერ სამტრედიის იუსტიციის სახლისთვის და ცაიშის მშენებარე იუსტიციის სახლისთვის წყლის ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა,** ღირებულებით - **82 756.87** ლარი;

- **თბილისის ცენტრალურ იუსტიციის სახლში ბუნებრივი აირის მრიცხველის შეცვლისა და აღრიცხვის კვანძის ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა,** ღირებულებით - **60 528.81** ლარი;

- **თბილისის ცენტრალურ იუსტიციის სახლის სამ ოთახში გაგრილების სისტემის სამუშაოების შესყიდვა,** ღირებულებით - **19 448.00** ლარი;

- **პირადობის ელექტრონული მოწმობის (ID ბარათის) ჩასადებების სახელმწიფო შესყიდვა,** ღირებულებით - **39 500.00** ლარი;

- **გარდაბნის, კაზრეთის და იორმუღანლოს იუსტიციის სახლების ცენტრალური გათბობის სიტემის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა,** ღირებულებით - **39 503.90** ლარი;

ხონის იუსტიციის სახლის სახურავის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით - **149 999.98** ლარი;

რუსთავის იუსტიციის სახლის დამატებითი სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით - **242 090.99** ლარი;

ლაზერული პრინტერების სახელმწიფო შესყიდვა, ღირებულებით - **191 252.00** ლარი.

2. გამოცხადებულია და მიმდინარეობს შემდეგი ელექტრონული ტენდერები

სსიპ „იუსტიციის სახლის“ მიერ, 2025 წლის განმავლობაში სსიპ „იუსტიციის სახლის” იმერეთისა და რაჭის რეგიონში არსებული ფილიალების (ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, ზესტაფონი, თერჯოლა, სამტრედია და ონი) შენობის მოწყობილობების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა,

ღირებულება *600 000.00 ₾*

სსიპ „იუსტიციის სახლის“ ქართლის რეგიონში არსებული იუსტიციის სახლების (გორის იუსტიციის სახლი, ქარელის იუსტიციის სახლი, ხაშურის იუსტიციის სახლის, ბოლნისის იუსტიციის სახლი, გარდაბნის იუსტიციის სახლი, მარნეულის იუსტიციის სახლი და რუსთავის იუსტიციის სახლი) შენობის მოწყობილობების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა,

ღირებულება *430 000.00 ₾*

სსიპ „იუსტიციის სახლის“ ქორწინების სახლებისათვის წიგნებისა „ვეფხისტყაოსანი” და ინგლისურენოვანი სამახსოვრო ბარათების ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა,

ღირებულება *109 500.00 ₾*

ქუთაისის იუსტიციის სახლის მიმდებარედ წყლის შემაკავებელი რკ/ბეტონის საყრდენი კედელი მოწყობის სამუშაოების შესყიდვა,

ღირებულება *142 512.00 ₾*

გლდანის იუსტიციის სახლის საოფისე ავეჯის შესყიდვა,

ღირებულება *773 920.00 ₾*

ხონის იუსტიციის სახლში, მომსახურების სივრცისთვის ჭერის სანათების სახელმწიფო შესყიდვა თანმდევი მონტაჟით,

ღირებულება *40 000.00 ₾*

სსიპ „იუსტიციის სახლის” წინა ხაზის თანამშრომლებისათვის სამსახურებრივი უნიფორმების შესყიდვა,

ღირებულება *3 415 758.00 ₾*

რეგიონებში არსებული "იუსტიციის სახლების" (თელავი, გურჯაანი, ლაგოდეხი, ყვარელი, თიანეთი, ყაზბეგი, ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, ბათუმი, ოზურგეთი, ზუგდიდი, მარტვილი, მესტია, სენაკი, ფოთი) შენობების მოწყობილობების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა,

ღირებულება **1 051 227.00 ₾**

სსიპ „იუსტიციის სახლის" ფილიალების, გარდაბნისა და მარნეულის იუსტიციის სახლების თანამშრომელთა ტრანსპორტირების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა,

ღირებულება **87 600.00 ₾**

დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების მომსახურების ერთობლივი სახელმწიფო შესყიდვა,

ღირებულება **3,003,803 ₾**

3. 2024 წლის შესყიდვები

გამოცხადდა	*160*	**ელექტრონული ტენდერი**
მიმდინარეა	*27*	**ელექტრონული ტენდერი**
ხელშეკრულება გაფორმდა	*106*	**ელექტრონული ტენდერზე**
უარყოფითი შედეგით დასრულდა ან/ და არ შედგა	*27*	**ელექტრონული ტენდერი**

ელექტრონული ტენდერების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით - **39 165 000** ლარი, ხოლო ელექტრონული ტენდერების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა - **1 760 000** ლარი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართ, გამარტივებული შესყიდვის უფლების მოპოვების მიზნით SMP მოდულის მეშვეობით თანხმობა მიღებულია **43** განაცხადზე.

სულ წლის განმავლობაში გაფორმებულია 460-ზე მეტი ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით - **59 128 000.00** ლარი.

4. ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

2024 წელს სსიპ „იუსტიციის სახლისთვის“ საბიუჯეტო სახსრებიდან გამოყოფილი იყო 5,000,000.0 ლარი, საიდანაც ათვისებულია **100.0%.** *ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან, 106,309,000.00, ათვისებულია 88.3%. საბოლოო ჯამში, სსიპ „იუსტიციის სახლმა“ 2024 წელს აითვისა მისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის 88.9%.*



IV. საზოგადოებასთან ურთიერთობა

1. დელეგაცია იუსტიციის სახლში

სსიპ „იუსტიციის სახლმა“ 2024 წლის მანძილზე უმასპინძლა 31 ადგილობრივ თუ საერთაშორისო მაღალი რანგის დელეგაციას. ვიზიტის ფარგლებში დელეგატები „იუსტიციის სახლის“ კონცეფციასა და სერვისების გაცემის ქართულ პრაქტიკას გაეცნნენ.

საჯარო მმართველობის ექსპერტთა კომიტეტში (CEPA) იუსტიციის სახლს მიენიჭა დამკვირვებლის სტატუსი რის ფარგლებშიც სსიპ „იუსტიციის სახლის“ წარმომადგენლებმა გაერო-ს საჯარო მმართველობის ექსპერტთა კომიტეტის რიგით ოცდამესამე სესიაში მიიღეს მონაწილეობა;

სსიპ „იუსტიციის სახლის“ თავმჯდომარე, კორეაში დაგეგმილ გაეროს საჯარო სამსახურის ფორუმსა და დაჯილდოების ცერემონიას დაესწრო;

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა სსიპ-ებმა იუსტიციის სახლმა, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ტექნოლოგიების გამოფენა „VivaTech 2024“-ში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ყოველწლიურად საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში იმართება და მსოფლიოს 160-ზე მეტ ქვეყანას მასპინძლობს. სამიტის ფარგლებში გამართულ გამოფენაზე, იუსტიციის სახლის წარმომადგენლებმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივით, სხვადასხვა ინოვაციური ტექნოლოგიების მწარმოებელ კომპანიასთან მოლაპარაკებები და საქმიანი შეხვედრები გამართეს. ყურადღება გამახვილდა ისეთ ინოვაციურ და ტექნოლოგიურ მიღწევებზე, რომელთა ინტეგრირებაც იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების სერვისებისა და მომსახურების განვითარების მიმართულებით კიდევ უფრო გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს;

- *იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-ების: იუსტიციის სახლის, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენლებმა ყაზახეთის ქალაქ ალმათში გამართულ რეგიონთაშორის კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა.*

2. პიარკამპანიები

2024 წელს იუსტიციის სახლის „Facebook“ გვერდზე განთავსებული პოსტები იხილა ***912 363****-მა მომხმარებელმა;*

- *გვერდის ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა* **678 500** *ადამიანი;*

- *2024 წელს იუსტიციის სახლის „Facebook“ გვერდის „გამომწერთა“ რაოდენობა გაიზარდა* **9 705** *ერთეულით;*

- *2024 წლის განმავლობაში „Facebook“ გვერდზე გამოქვეყნდა* **309** *პოსტი, აქედან* **213** *იყო საინფორმაციო, ხოლო* **32** *- გაზიარებული პოსტი;* **64** *კი - ვიდეო;*

- *„მობილური იუსტიციის სახლის“ შესახებ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მომზადდა ვიდეორგოლი;*

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/7645452838809094

კამპანიის „მადლობა ერთგულებისთვის“ ფარგლებში იუსტიციის სახლის სოციალურ მედიაში განთავსდა ინფორმაცია 10-წლიანი სტაჟის მქონე 16 თანამშრომლის შესახებ;

პროექტი ENPARD-IV ფარგლებში მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა დაამზადა, ეროვნული უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების გათვალისწინებით „იუსტიციის სახლის“ ყველაზე მოთხოვნად სერვისზე 10 ვიდეორგოლი. ინფორმაცია გავრცელდა სოციალური ქსელების მეშვეობით; ასევე ვიდეო რგოლები განთავსდა იუსტიციის სახლების აზერბაიჯანულ და სომხურენოვან სტრუქტურულ ერთეულებში განთავსებულ მონიტორებზე;

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/726595412911494/

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/1500661193824808/

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/399608649356394/

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/293378700420458/

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/1137141491038548/

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/744648834531075/

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/823190862475747/

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/426466873499037/

https://www.facebook.com/watch/?v=1102206044173935

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/820929286649607/

მომზადდა იუსტიციის სახლის საიმიჯო ვიდეორგოლი ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე, საქართველოს საფეხბურთო ნაკრების საგულშემატკივრო 2 ვიდეო;

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/773312858185670/

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/1305648193901652

https://www.youtube.com/watch?v=htoUnNzDF5Q

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/895903048965599/

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/771667928480919/

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაამზადა იუსტიციის სახლის ახალი ვებგვერდი, განხორციელდა - რე-დიზაინი, რომელიც ფუნქციონალურად სრულად აკმაყოფილებს ტექნოლოგიურ სტანდარტებს;

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/1578197609751353

იუსტიციის სახლმა საჯარო სექტორში ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით, დაგეგმილ ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ასტანის საჯარო სერვისების ჰაბის (ACSH), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), კორეის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და უსაფრთხოების სამინისტროს (MOIS) და ინფორმაციული საზოგადოების ეროვნული სააგენტოს (NIA) ორგანიზებით გაიმართა. სამხრეთ კორეასა და ყაზახეთში გამართულ შეხვედრებზე დამსწრე სხვადასხვა ქვეყნის დელეგატები გაეცნენ ინფორმაციას სსიპ „იუსტიციის სახლის“ მიღწევებისა და კონცეფციის შესახებ.

3. სატელევიზიო გაშუქება

პროექტის ,,მობილური იუსტიციის სახლის" პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით ვიდეორგოლი 8 კვირის განმავლობაში განთავსდა ტელეარხებზე: ,,იმედი", ,,postv", „რუსთავი2", ,,მაესტრო";

ჩატარდა იუსტიციის სახლების საზეიმო გახსნის ფართომასშტაბიანი 3 ღონისძიება; განხორციელდა 3 პირდაპირი ჩართვა ტელეკომპანიების ეთერში თერჯოლის, ხაშურის, სამტრედიის იუსტიციის სახლების გახსნის თემაზე;

https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=1281807012977725

https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=1468497917106506

https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=1697436627720999

გამოქვეყნდა „სტუდია იუსტიციის" მიერ მომზადებული იუსტიციის სახლის თავმჯდომარე ლაშა ლობჯანიძის 2 ინტერვიუ თემებზე: ბიზნესასისტენტი და იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა;

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/1390887534910065/

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/871190708511584/

სხვადასხვა ტელეკომპანიის მეშვეობით განხორციელდა 6 პირდაპირი ეთერი სხვადასხვა თემაზე გადაცემებში: საზოგადოებრივი მაუწყებლის "ბიზნესპარტნიორი"; იმედის „შუადღე"; „იმედის კვირა"; "რუსთავი 2"-ის „შუადღე", „მაესტრო რეგიონები";

https://www.facebook.com/watch/?v=1119757192640284

https://www.facebook.com/watch/?v=285984931179873

https://www.facebook.com/watch/?v=794982139404082

https://www.facebook.com/watch/?v=1126303875127914

https://www.facebook.com/watch/?v=512694374565927

https://www.facebook.com/publicservicehall/videos/453686297639864/

იუსტიციის სახლის სიახლეები გაშუქდა 5 ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებების მიერ, ჯამში, 270-ჯერ;

იუსტიციის სახლის მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ 46 პრესრელიზი 81 საინფორმაციო სააგენტოსა და ონლაინ გამოცემის მეშვეობით გამოქვეყნდა.

4. მიმდინარე და განხორციელებული პროექტები

იუსტიციის სახლებში სპეციალური პენიტენციური სამსახურის სერვისი - ვიდეოპაემნით სარგებლობის სერვისი დაინერგა. სერვისზე განცხადების ჩაბარება შესაძლებელია საქართველოს მასშტაბით იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალში; იუსტიციის სახლის ბათუმის, რუსთავის, ქუთაისისა და თბილისის ცენტრალურ ფილიალებში კი მოეწყო სივრცეები ვიდეოპაემნის განხორციელების/ ჩატარების უზრუნველსაყოფად;

თბილისის ცენტრალურ იუსტიციის სახლში, თვითმომსახურების სივრცე აღიჭურვა სენსორული მონიტორებით და დღეს უკვე მომხმარებელს საშუალება აქვს მიიღოს ესა თუ ის სერვისი დამოუკიდებლად;

სსიპ „იუსტიციის სახლში“ დაიწყო ახალი სერვისების გაცემა:

- *უძრავი ქონების რემონტის (შიდა მოპირკეთება) დაზღვევის სერვისი*
- *უცხოელთა ჯანმრთელობის დაზღვევის სერვისი*
- *სამოგზაურო დაზღვევის სერვისი*
- *სსიპ სახმელეთო სატრანსპორტო სააგენტოს სერვისები*
- *საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) დამატებითი სერვისები*

V. ინფრასტრუქტურული პროექტები

მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები ახმეტის, გლდანის, საგარეჯოს, ზოტის, ტოლების, ცაიშისა და ხელვაჩაურის იუსტიციის სახლებში.



ოსტეოლოგ
სპბლი

ოსტეოლოგ
სპბლი

- შესრულდა 32 იუსტიციის სახლისა და 2 ქორწინების სახლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;





- დამონტაჟდა სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში 10 ახალი გენერატორი;
- ჩატარდა 20 იუსტიციის სახლის სახურავის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქვეყნის მასშტაბით 48 იუსტიციის სახლში შეკეთდა და აღდგა ეზო-ტერიტორიის ღობეები;
- აღიჭურვა ზესტაფონის იუსტიციის სახლი ფარდა-როლეტებით;
- განხორციელდა გურჯაანის იუსტიციის სახლში ახალი, ცენტრალური უწყვეტი კვების წყაროს (UPS) მონტაჟი;
- ჩატარდა გორის იუსტიციის სახლში ფასადის სანათების და სენაკის იუსტიციის სახლის გარე პერიმეტრის დეკორატიული სანათების მოწყობის სამუშაოები;
- განხორციელდა ბათუმის იუსტიციის სახლის შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

შესრულდა რუსთავის იუსტიციის სახლის ალტერნატიული ფართის სარემონტო სამუშაოები და ფართის ტექნიკითა და ავეჯით აღჭურვა;

ჩატარდა რუსთავის იუსტიციის სახლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, მოეწყო ელ. ენერგიის ალტერნატიული კაბელი და შენობის ფასადზე შეიცვალა დაზიანებული მინა-პაკეტები ახლით;

დამონტაჟდა სსიპ ,,იუსტიციის სახლის" რამდენიმე ფილიალში კონდიციონერები, ფანკოილები და რეკუპერატორი. ასევე, თელავისა და მარნეულის იუსტიციის სახლში დამონტაჟდა ახალი კოლონური კონდიციონერები;

გარდაბნისა და ფოთის იუსტიციის სახლებში ახლით ჩანაცვლდა ცენტრალური შესასვლელი კარებები;

განხორციელდა საკანალიზაციო სეპტიკური ჭების მოწყობის სამუშაოები უსახელოს, ნატანებისა და ბარალეთის იუსტიციის სახლებში;

შესრულდა გარდაბნის, კაზრეთის და იორმუღანლოს იუსტიციის სახლებში ცენტრალური გათბობის ქვაბების მონტაჟი;

2 405 405
info@psh.gov.ge
www.psh.gov.ge
www.facebook.com/publicservicehall